სულ ელქსელის ბრალია

-ჩაგიქრეთ პირში სული! - უმისამართოდ გაგზავნა კოსმოსში წყევლა ნაზიკომ.

-ვის წყევლი, ქალო? - წამოენთო ჰამლეტა, მისი თანამეცხედრე.

-ვის უნდა ვწყევლიდე! ელქსელის თანამშრომლებს - დირექტორიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული.

-დამლაგებელს რაღაც ერჩი! არ იცი, რო ყოველ ახალ წელს გადახარჯვა აქვთ და ბოლო წუთამდე ეკონომიას აკეთებენ?

-გადაეხარჯათ მაგათ ჯანი! - ისევ შეჰკივლა ნაზიკომ და წინწკლებიანი თავსაფარი კიდევ უფრო მაგრად მოიკოჭა თავზე.

***

პატარა სოფლისთვის ნიშნობა დიდი მოვლენა იყო. ამიტომაც კოროშენიძე-სეფიაშვილებმა, ამ მოვლენისთვის კიდევ უფრო საზეიმო ელფერი რომ მიენიჭებინათ, გადაწყვიტეს, თავიანთი შვილების ნიშნობა ახალი წლის ღამეს გაემართათ. ყველაფერი აწონ-დაწონეს, ერთი რამის გარდა. საახალწლოდ სოფელს (და არა მხოლოდ, არამედ მთელ გორსაც), ელექტროენერგიას უთიშავდნენ, რომ წლიური გეგმა გადახარჯვით არ დაესრულებინათ და ამას ცენტრალური კომიტეტიდან, მინიმუმ საყვედური და მაქსიმუმ, რაიკომის მდივის დათხოვნა არ მოჰყოლოდა. თორემ არავის სჯეროდა, რომ ელექტორენერგიის უყაირათოდ ხარჯვა ვინმეს დიდად აღელვებდა. ამას წლების მანძილზე ისე შეეჩვივნენ, ყველამ იცოდა, გოზინაყის მომზადება და ხაჭაპურების ცხობა ლამფის შუქზე რომ მოუწევდათ. ამჯერად კი გამორჩათ. ვერ გათვალეს.

ამიტომაც მოხდა, რაც მოხდა. ახლა ყველაფერი იყო - ხორაგით სავსე სუფრა, ტორტი და შამპანური, სტუმრები - უღიმღამო გამომეტყველებით და თავშეკავებული ღიმილით, მასპინძელი კი - თავწაკრული, თავატკივებული, თავმოჭრილი და თავსლაფსხმული. თუმცა აღარ იყო სასიძო და არც საპატარძლო.

ჟუჟუნა მაჭარაძის ღრმა რწმენით, ეს ამბავი არავის ბრალი იყო, ვინაიდან ცაში დაგეგმილიყო, ბედის მთხზველის მიერ, დიდი ხნის წინათ.

-ცაში არა, ჩემი ფეხები! - ჟუჟუნას ამ მოსაზრებას არ იზიარებდა ჰამლეტა და ფიქრობდა, რომ ერთადერთი, ვისაც ამ საქმეში ბრალი მიუძღოდა, ელქსელი იყო და სხვა არავინ.

-ეს რა გამიკეთეს! თავი მომჭრეს! ნიშნობა კი არა, ქელეხია, ქელეხი! მოდით მეზობლებო, შესანდობარი დალიეთ!

-კაი, კაცო, რასაა, რომ ამბობ, ენამ არ გიყივლოსო! - ისეთი კაკუნი აუტეხეს მაგიდებს მეზობლებმა, აზრიალდა სამ დონედ გაწყობილი სუფრა და ხიზილალას მომცრო თეფშები

ფსკერით ჩაეტყეპა პირველ შრეში, ანუ ნიგოზში ასვრემილ ფხალში, პომიდორმა კი თავი ვეღარ შეიკავა და კალთაში ჩაუგორდა ფურნეში შემწვარ და რატომღაც გამხიარულებულ გოჭს.

ვინ იფიქრებდა, ასე ტრაგიკულად თუ დამთავრდებოდა ჟუჟუნას გენიალური წამოწყება - ჰამლეტა სეფიაშვილმა და პარმენ კოროშენიძემ დამძახლება ვერ მოასწრეს, რომ უმძრახად იქცნენ. ეს ნახევრადშემდგარი ნიშნობა, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა პატარა სოფლის ცხოვრებაში, ისეთი რამ გახლდათ, რამდენიმე თაობის მეხსიერებიდან რომ არ იშლება და ტიპოგრაფიული კლიშესავით ტოვებს ანაბეჭდს, ყველა წვრილმანით და მნიშვნელოვან-უმნიშვნელო დეტალებით.

აქამდე ბედნიერად ცხოვრობდა სეფიაშვილების ოჯახი. ოჯახის თავს, ჰამლეტ სეფიაშვილს და მის მეუღლეს, ქალბატონ ნაზიკოს, ერთადერთი ასული ჰყავდათ, ნაფერები და ნალოლიავები ლელუკა. დრო მიდიოდა, ჰამლეტას კი ჭაღარასთან ერთად გულში ქალიშვილის გათხოვებასთან დაკავშირებული შიშიც ეპარებოდა. და ალბათ მისი პესიმიზმი სულ უფრო გაღრმავდებოდა, რომ არა ერთ დღეს ჰამლეტას ჭიშკართან საინტერესო წინადადებით მომდგარი ჟუჟუნა.

სტუმრის ძახილზე ჰამლეტას ძაღლი, ფაჩიკო ძაღლური მოვალეობის გრძნობამ იმდენად შეაწუხა, რომ საკუთარ ლეკვებს დაუნდობლად გამოგლიჯა პირიდან დაბერილი ძუძუები და ჭიშკარს მიაწყდა, სტუმრის საკადრისი ყეფით.

-გაიწყვიტე ხმა, შე უდღეურო, ძუნძგლიანო ძუკნა, თორემ დაგაპუტე ეგ წუმპეში ამოვლებული ბანჯგვლები! - შეუტია ფაჩიკოს.

კარებში ნაზიკოს ჭრელთავსაფარწაკრული თავი გამოჩნდა. ფაჩიკომ თავისი მისია ამოწურულად მიიჩნია, კორექტულობის მიზნით მასპინძელი სტუმართან მარტო დატოვა და თავის ლეკვებს დაუბრუნდა, ბუნებრივი კვების აქტის გასაგრძელებლად, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა ძუძუთი კვების ხელოვნურთან შედარებით ენით აუწერელ უპირატესობაზე და მხოლოდ დედობრივი ინსტინქტებით ხელმძღვანელობდა.

-მობრძანდი, ჟუჟუნა, რამ შეგაწუხა? - შეიპატიჟა ნაზიკომ სტუმარი.

-კაი საქმეზე ვარ მოსული, ჩემო ნაზიკო. უნდა შემოვიდე, ეზოში ვერ გეტყვი. არ იცი, ჩვენი მეზობლების ამბავი? - მრავლისმეტყველად ჩასჩურჩულა ჟუჟუნამ და სახის ყველა ნაკვთთან ერთად წარბებიც შესაბამისი თანამიმდევრობით, ხმის ტონალობასთან ალიანსში აჭიმა. ნაზიკოს გულმა რეჩხი კი უყო, მაგრამ მეზობელი სახლში მაინც შეიპატიჟა, ყავა და კაკლის მურაბა შესთავაზა.

-ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე მოვედი, ჩემი ნაზიკო! - ენის წკლაპუნით გაიმეორა ჟუჟუნამ თვალი ოთახს მიმოავლო. ჯერ „სტენკაზე“ ჩამწკრივებული ბროლის ვაზები დაითვალა. შემდეგ მზერა „როკოკოსა“ თუ „ბაროკოს“ (ზუსტად ვერ გაიხსენა) ჭურჭელზე, ჩაისა და სადილის სერვიზებზე და პიანინოს თავზე ჩამოხუნძლულ ხელოვნურ ყვავილებზე, ბოლოს კი ჭერში ჩამოკიდებულ, თაბაშირის „ანგელოზ-ამურჩიკებზე“ აღაპყრო მზერა.

-თქვი, მარტო ვართ. - სული შეუგუბდა ნაზიკოს.

- ერთი კაი ბიჭი შევათვალიერე, ზუსტად შენი გოგოს სარგო. უკეთეს სასიძოს ვერც ინატრებ, - ამოღერღა ჟუჟუნამ და შვებით ამოისუნთქა.

გულის აჩქარება ვირუსივით გადაედო ნაზიკოს და ღელვა რომ დაემალა, კაკლის მურაბას მიეძალა. მეხუთე მარცვალიც რომ გაღეჭა და ნედლად შემონახული ლებნები წიწილის ქორფა ძვლებივით ჩააკნატუნა, მერეღა შეძლო ხმის ამოღება, სიხარულით თავზარდაცემულმა.

-რას ამბობ, გოგო, ვინ არის ასეთი? - ნაზიკოს ჩვეულებრივზე მეტად განაზებულმა მიმართვამ ჟუჟუნას ასაკის შეგრძნება დაუკარგა.

ჟუჟუნა სამაჭანკლო საქმეში დებიუტანტი ნამდვილად არ გახლდათ, ამიტომ მორიგ საქმეს საკითხის კარგად ცოდნით და პროფესიული დაკვირვებით შეუდგა. ჯერ ბიჭის სახლს დააკვირდა - გალავნის სიმაღლე და იმ ქვის წარმოშობა გამოარკვია, რომლითაც იყო მოპირკეთებული კოროშენიძეების სასახლე. ამას ემატებოდა გარაჟში მდგარი ახალი „ნოლ-სემი“ დაბურული მინებით და მასზე მიკრული მოქანქარე ხელისგულით. ოჯახის უფროსს, ყველასგან პატივცემულ პარმენ კოროშენიძეს კანონიერი ცოლისა და არანაკლებ კანონიერი ორი შვილის გარდა, კიდევ ერთი ოფიციალური საყვარელი და ერთიც, არაოფიციალური შვილი ჰყავდა, რომლებზეც ზუსტად ისე ზრუნავდა, როგორც კანონიერ ცოლ-შვილზე, რის გამოც კანონიერ ცოლს ნევროზი დაემართა და დიდხანს და დაბეჯითებით მკურნალობდა, ყველაზე ცნობილ და ძვირადღირებულ ექიმებთან.

ასეთი იყო პარმენ კოროშენიძე - გულუხვი ქმარი და შვილებზე გადაგებული მამა. სწორედ ისეთი, როგორიც წარმოედგინა სეფიაშვილებთან სამაჭანკლოდ მისულ ჟუჟუნას, საქმის გაჩარხვის შემთხვევაში რაიმე ხეირიანი საჩუქრის მოლოდინით აღტყინებულს. მთავარი ახლა ის იყო, კოროშენიძეებიც დაეინტერესებინა ამ საქმით, რაშიც სეფიაშვილების მეზობლის, ვენერას დახმარების იმედი ჰქონდა. სწორედ ვენერას მოხერხებაზე იყო ყველაფერი დამოკიდებული.

იოლი არ იყო პარმენ კოროშენიძის ნანევროზალი ცოლის დარწმუნება, რომელსაც თუ ბლოკნოტში არა, ტვინში მაინც მუდამ გადაშლილი ჰქონდა ის გვერდი, სადაც თავის გასაყადრებელი ოჯახების სია ჰქონდა ჩამოწერილი და რომელშიც ჰამლეტას ოჯახი, უკეთეს შემთხვევაში, ბოლოდან მეორე ან სულაც ბოლო ადგილზე იქნებოდა შეტანილი. ამიტომაც ვენერას ოცნების კოშკები არ აუგია. მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ჟუჟუნასავით დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიდა და მისი ყოველი მორიგი მცდელობა კრახით მთავრდებოდა. თანაც, ყველა წამოწყებულ საქმეში დამწუნებელი ვაჟის მხარე გამოდიოდა და ვენერას ორმაგი ტვირთი აწვებოდა მხრებზე - აქეთ ვაჟის ოჯახისათვის უნდა ეხადა ბოდიში, სათანადო ქალი ვერ შემოგთავაზეთო და იქით გოგოს მშობლებისათვის შეეთხზა ზღაპარი, რომ ოჯახები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ვენერას მეხსიერება იმდენ საიდუმლოს ფლობდა, ამ უბანში სხვა ვერავინ რომ ვერ დაიკვეხნიდა, მით უმეტეს, ჟუჟუნა, რომელიც ყველა წამოწყებულ საქმეს წარმატებით აგვირგვინებდა და არც საიდუმლოს შენახვა ეხერხებოდა მაინცდამაინც.

ასე რომ, რაც უფრო უახლოვდებოდა კოროშენიძეების ქვით მოპირკეთებულ სახლს, მით უფრო ძლიერად უძგერდა გული მკერდზე მიხუტებული „ბამბანერკის“ ქვეშ, რომელიც ზაფხულში სტუმრად მოსულ მამიდაშვილის ცოლს მოერთმია და რომელსაც „ასორტი“ ერქვა, ახლა კი ხელის დასამშვენებლად კოროშენიძეებთან წამოეღო.

მართალია, ვენერა მაჭანკლობას უმადურ საქმედ მიიჩნევდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აზრი შეიცვალა და საქმის გაჩარხვას ჟუჟუნასთან ერთად შეუდგა. ორივემ ერთად მთელი თავისი ფანტაზია მოიშველია და პარმენ კოროშენიძის ცოლს ხატოვნად აღუწერა მისი ვაჟისა და ჰამლეტას ქალიშვილის მომავალი ბედნიერების თავბრუსდამხვევი სურათი.

ვერავინ ვერასდროს გაიგებს, როგორ მოახერხეს ვენერამ და ჟუჟუნამ პარმენ კოროშენიძის ცოლის დარწმუნება. ფაქტი კი ფაქტად რჩება - ნიშნობა გადაწყდა. ორიოდე კვირის შემდეგ ლელუკასთვის თორმეტგრამიანი ბაჯაღლოს „კალიცო“ და ბრილიანტის „ბახჩა“ უკვე მზად იყო. როგორც ყველა წესიერ დანიშნულ ქალს შეეფერებოდა, ლელუკა სახლიდან აღარ გამოდიოდა. ეზოშიც კი ვერ დაინახავდით, უმიზეზოდ გამოსულს.

საქმროს, იმის შემდეგ რაც ის მისი საქმრო გახდა, სულ ორჯერ შეხვდა - ერთხელ, როცა ვითომ შემთხვევით, მის სახლთან ჩავლილი „დაინახა“, მეორედ კი მაშინ, როცა დედამთილმა ებრაელებში წაიყვანა, ძვირადღირებული ტანსაცმლის შესაძენად.

მართალია, ჯერ სეზონი არ დამდგარიყო, მაგრამ თადარიგიანი ქალი იყო პარმენ კოროშენიძის მეუღლე, სოფიო და ძვირფას ქურქზე აქედანვე იზრუნა. ტანსაცმელ-ფეხსაცმელზე, თეთრეულსა და სხვა წვრილმანებზე ხომ ყურადღების გამახვილებაც არ ღირს. მთელ სოფელს სალაპარაკოდ ჰქონდა კოროშენიძეების გულუხვობა. ჰამლეტაც ერთი ათად გაიშალა მხრებში.

***

ნიშნობის დღეც დადგა. შესაბამისად, დადგა წელიწადის ბოლო დღე, როცა გეგმის გადაჭარბებისთვის კრიტიკულად მძიმე საათები დგებოდა. საახალწლო სამზადისი კი დენის მრიცხველების ბორბალს სულ სწრაფად ატრიალებდა, გარბოდა მრიცხველი და ერთიათად ზრდიდა ქალაქის და რაიონის გეგმის ჩავარდნის ალბათობას. ჰოდა, არც დააყოვნა. ქალაქიც და სოფლებიც ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ჩაბნელდა არემარე. მხოლოდ თოვლი და სახლებში მბჟუტავი თითო-ოროლა ლამფა ანათებდა ღამის სოფელს. რაც უფრო ახლოვდებოდა სტუმრების მოსვლის დრო, მასპინძლების მღელვარებაც იმატებდა.

-ეს შობელმაღლები დენს არ ჩართავენ? ახლა მოუნდათ ეკონომიის გაკეთება? - ნერვიულად სცემდა ბოლთას ჰამლეტა და საათზე მალიმალ იყურებოდა. - სადაცაა, მოვლენ. ამ სიბნელეში უნდა დავსხა სტუმრები?

-რას აიჩემე ეს ახალი წელი, ახალი წელი! - ქოქოლა მიაყარა ცოლმა. - არ იცოდი, რაც ხდება ხოლმე ახალ წელს? რამდენი წელია, სიბნელეში ვხვდებით. სიკვდილმა გადახარჯოს ჩვენი ელქსელი!

-მე რა ავიჩემე! იმათმა აიჩემეს. და დაანებე წყევლას თავი. არ გათიშავენ და იმათი აჯობებს!

-ეგეც მე მადარდე ახლა. მთელი წელი გამოიზოგონ, ცოტ-ცოტა ხნით გათიშონ ხოლმე. აბა საახალწლოდ რო მოაწვებათ კვერცხი, ეგაა საქმე?

-ნუ გეშინია, არც მთელი წელი გვაკლია ეგ ბედნიერება. ფუი, ამათი! - ჰამლეტამ ხელი ჩაიქნია და ღვინის ამოსაღებად გაეშურა მარანში. თან ლამფა გაიყოლა.

-ფრთხილად ქენი, ნავთი არ ჩაგესხას ღვინოში! - მიაძახა ნაზიკომ და სუფრას მიუბრუნდა.

ცოტა ხანში სასიძოს ოჯახის ვოლგა მუსიკალური სიგნალებით შემოგრიალდა ჰამლეტას ჩიხში. სტუმრები დახუნძლულ სუფრას მიუსხდნენ. ჩიტის რძე არ აკლდა, ისეთი სუფრა იყო. მართალია, ალაგ-ალაგ ჩადგმული სანთლების შუქზე, კარგად ვერ არჩევდნენ, დანიგვზულ ბადრიჯანს ასობდნენ ჩანგალს თუ ქაბაბს, მაგრამ ეს დიდად არავის ანაღვლებდა. იყო გაჩაღებული სმა-ჭამა, ყანწების ტრიალი და საყოველთაო ჟრიამული.

ახლად დანიშნული წყვილი ცოტა ხნით სუფრას გაეცალა. ყანწი რომ დაცალა და ამაყად ამოატრიალა, მომავალმა მეუღლემ ლელუკას შემთხვევით შიგ ჩარჩენილი ღვინო თავზე გადაასხა. საპატარძლო თავის ოთახში ავიდა, ტანსაცმლის გამოსაცვლელად. სასიძო კი სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავიდა. სწორედ იქ მოხდა, ის რაც მოხდა და რამაც ნაზიკო ისეთ შოკში ჩააგდო, მისმა კივილმა მთელი სუფრა აშალა და აივანზე გამოფინა - სასიძოს აივნის ბნელ კუთხეში მეზობლის გოგო ჩაებღუჯა და ვნებამორეული კოცნიდა.

ნაზიკოს კივილზე სასიძო დაფრთხა. მეზობელს ხელი კი გაუშვა, მაგრამ დაბნეულობისგან კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა. მერე გონს მოეგო და ყურადღებით ჩააცქერდა გოგოს. როცა აღმოაჩინა, რომ აშკარად არ ჰგავდა იმას, ვინც უკვე სამჯერ ჰყავდა ნანახი, ერთხელ გაკვრით, მეორედ უფრო ახლოს, მესამედ, მართალია, სანთლის შუქზე, მაგრამ მაინც, გვერდით უჯდა მთელი საღამო, მიხვდა, რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

-ჩემი საცოლე მეგონა. აქ იდგა და. რა ვიცოდი. - დაიწყო თავის მართლება და საცოდავად ლუღლუღი. მაგრამ ნაზიკოს დარწმუნება, მით უფრო, დაშოშმინება, არც ისე იოლი აღმოჩნდა. სასიძო ლამის კიბეებზე დააგორა.

ნიშნობა ჩაიშალა. სტუმრები სიძის მხარიდან სათითაოდ გაილალნენ თავიანთი მანქანებისკენ.

-სულ ელქსელის ბრალია! - აღმოხდა ჰამლეტას და ცოლს გადახედა.

-ელქსელი კი არა, ბნელქსელია ეგ! - მოთქვამდა თავწაკრული, თავატკივებული, თავმოჭრილი და თავსლაფსხმული ნაზიკო.

საათმა 12 დარეკა. ახალმა წელმა შემოაბიჯა. უცებ განათდა და გაჩახჩახდა მთელი სოფელი. თოფების ხმას ხალხის ყიჟინაც შეუერთდა.

-სულ შენი ბრალია! - გაბზარული ხმით ასძახა სასოწარკვეთილმა ჰამლეტამ ეზოში ჩამოკონწიალებულ ნათურას, რომლის შუქზეც ციდან ჩამოსული ფანტელები ჯადოსნურად ბრწყინავდა.